ოქროპალა

რედაქცია
ტფილისი, ხელოვანთა სასახლე სერგეევის ქ. № 13. ტელ. 17—51.

სამი თვით 500 ათასი მანეთი
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე ნომპარელით: ორასი ათასი მ.; ტექსტის შემდეგ: ასი ათასი მ.

კვირა.
აპრილის 29.
1923.

ფასი 30.000 მ.

№ 33. **სრ. საქართველოს მფერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი** № 33.

ქართველ მფერალთა კონფერენცია

ამ რამდენიმე დღის წინად ქართველ მწერალთა კონფერენცია გაიმართა. კონფერენციამ სხვა საკითხთა შორის,—რომელთა მოკლე შინაარსსაც მკითხველი ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი მასალით გაეცნობა—გააჩინა საორგანიზაციო საკითხიც. ახალი სტუფაციის მიხედვით, მწერალთა კავშირის წესდებას ჩამოაცალა ის მუხლები, რომლებიც წინანდა პროფესიონალური ინტერესების დაკმაყოფილებას ისახდნენ მიზნად; ჩამოსცილდა იმიტომ, რომ მწერალთა პროფესიონალური ინტერესების დაცაცავად სპეციალური პროფესიონალური ორგანიზაციები არის შექმნილი. ამნაირად შეცცლილი წესდება მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად

ზემოხსენებული ცვლილებების შემდეგ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს ახალი სახე ეძლევა—იგი მხოლოდ კულტურულ ორგანიზაციად რჩება, ისეთს ორგანიზაციად, რომელმაც ქართველ მწერალთა კულტურულ მოთხოვნილებებს უნდა უხელმძღვანელოს და ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სათანადო პირობები შეჰქმნას, მწერლის უპირველეს მოთხოვნილებებს გასაქანი მისცეს.

ქართველები საზოგადოდ ზეიმებს დაჩვეული ვართ. საზოგადო მოღვაწის საზეიმო დაკრძალვა ისევე გვეხერხება, როგორც საზეიმო იუბილეების გადახდა. ერთიც და მეორეც საქმიროა; მაგრამ ჩვენი სურვილია, მწერალთა კავშირი ამ ვიწროდ შემოფარგლულ საზღვრებს გასცდეს და თავის მოღვაწეობას მისცეს უფრო სისტემატიური და შინაარსიანი ხასიათი.

თანამედროვე რუსეთის წიგნის ბაზრის მეთვალყურეს მხედველობიდან არ გამოეპარებოდა ერთი ფრიად თვალსაჩინო გარემოება: რუსეთში წიგნის ბეჭვდა გაძლიერდა და თავისი შინაგანი თვისებით უფრო მრავალფეროვანი და მრავალიმხრივი გახდა, ვიდრე თუნდაც, ამ ორიოდე წლის წინად იყო. რუსეთში წიგნის ბეჭვდის მონოპოლიუტ უფლებას მრავალ-მხრივი ინტერესების შესაზღუდად არა სარგებლობენ. სპეციალური პარტიული ლიტერატურის გვერდით, იბეჭდება მრავალი ისეთი წიგნი, რომელიც საერთო კულტურის საგანძურს ავსებს და მკითხველის მრავალფეროვან ინტერესს აკმაყოფილებს. რუსეთში წიგნების ბეჭვდა თუ ამნაირი ტემპით გაგრძელდა, რამდენიმე წლის შემდეგ ფრიად ძვირფასი ლიტერატურა დაიბადება.

საქართველოში, სამწუხაროდ, ასეთი მდგომარეობა არ არის. სპეციალურ პარტიულ ლიტერატურას კიდევ ჰყავს თავისი გულშემატკივარი. რაიცა შეეხება საერთო ხასიათის ლიტერატურას, იგი ისეთს საცოდავ მდგომარეობაში იმყოფება, რომ ქართველი მწერალი იძულებული ჰხდება რუსეთისკენ შურის თვალით იცქიროს. ჩვენ ვიცით არიან მეცნიერები, რომელთაც თავიანთი მრავალ წლეთა მძიმე სამეცნიერო შრომის ნაკოფი ვერ გამოუქვეყნებიათ, არიან ბელეტრისტები, რომელთაც თავიანთი ცოტად თუ ბევრად მოზრდილი ნაწარმოებნი ვერსად დაუბეჭდიათ, არიან პოეტები, რომლებიც თავიანთ ლექსებს უბით ატარებენ. ყველაფერი ეს რუსეთში ასე თუ ისე აუცილებლად გასავალს იპოვიდა, როგორც დღესა ჰპოულობს გასავალს ამ გვარი, არა სპეციალური პარტიული ლიტერატურა.

ამისთანა ვიწროდ შემოვლებულ ფარგლებში, რა თქმა უნდა, ქართველ მწერალთა საქმიანობა და ნაყოფიერებაც დუნდება და უფერული ჰხდება.

სრულიად საქართველოს მწერალთა კონფერენციას დაეტყო სურვილი გამოეცხლებისა და საქმიანობისა. ქართველ მწერალთა დაგუბებული ენერგია გასაქანს ითხოულობს. საქართველოს კულტურული აღორძინება წარმოდგენილია უიმისოდ, თუ ამ ენერგიას სათანადო გასავალი არ მიეცა და არ შეიტსო ის ცარიელი ადგილი, რომელსაც თვითოეული ჩვენთაგანი ჰხედავს და დიდის გულის ტკივილით განიცდის. საქართველოში ქართველი მწერალის ხმა უნდა გაისმას, საქართველოში ქართული წიგნი უნდა გაჩნდეს. ქართველ წიგნის ავტორი კი მხოლოდ ქართველი მწერალი შეიძლება იყოს.

და აი, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოც მიზნათ ისახავს თავის კონფერენციის კანონიერ სურვილს სათანადო ანგარიში გაუწიოს და მთელი თავისი განახლებული ენერგიით შეკმასის ისეთი პირობები, რომ ქართველი მწერალი იძულებული არ იყოს რუსეთისაკენ შურის თვალით იცქირებოდეს.

ქართველი მწერლობის გულშემატკივარნიც, იმედია, უფრო მეტის ყურადღებით მოეპყრობიან ჩვენი მწერლობის ინტერესებს და როგორც ნიეთიერად, ისე ზნეობრივად გაგვამხნევებენ და აგვახალისებენ.

ყველას უნდა იცოდეს, რომ ჩვენი კავშირის ნაყოფიერება—ეს არის ქართული კულტურის აღორძინება და თვალსაჩინო ფაქტორი ეროვნული შემოქმედებისა.

ია კარგარეთელის იუბილე

ვინც დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მაჯისცემას, დიდი პატივისცემით შეხვდება ამ დღესასწაულს.

მრავალმხრივია ია კარგარეთელის მოღვაწეობა. უპირველეს ყოვლისა, მან როგორც მუსიკოსმა, სამღერეველი გაუშტკიცა ქართულ კულტურის ამ მაღალ დარგს და ხან როგორც შემოქმედი, ხან კი როგორც საუნჯეთა შემკრები, ეძებდა და აგროვებდა მდიდარ სიმღერებს. მან პირველმა დასწერა ქართული მუსიკის ისტორია და სახელმძღვანელო, რითაც დიდი სამსახური გაუწია მოზარდ თაობას. ამავე დროს იგი იყო პირველი მომღერალი არტისტი საქართველოში და პირველი ოპერის მთარგმნელი.

ია კარგარეთელი ამ ერთი დარგით არ დაკმაყოფილდა. მასში ღრმად იყო გამჯდარი ეროვნული სამსახურის სიყვარული, რაც გამოიჩინა ხალხურ ზეპირ-სიტყვაობის საფერეში დაუღალავი მუშაობით. მან შეჭკრიბა აუარებელი ხალხური ლექსები, ზღაპრები, ლეგენდები და სხვა... და იყო ამ მხრივ ერთი პირველთაგანი. და თუ გავითვალისწინებთ, ჩვენი ოლქ[illegible]ორის დიდ მომავალს, და ვიცნობთ ამისთვის აუცილებელ პირობად იმ შავს მუშაობას, რასაც შეკრება ეწოდება, უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივაც ია კარგარეთელის დამსახურება დიდია.

იგი პედაგოგიურ ასპარეზზეც დიდაც შეიჭრა, და სცდილობდა ხალხში შეკრებილ დიდი განძის გადატანას მოზარდ თაობის გულში, და დიდი მზრუნველობით უფროხილდებოდა მომავლის ამ პატარა ავანგარდს. ია კარგარეთელი დიდ მონაწილეობას ღებულობდა ხალხურ გუნდების შედგენაში და ბევრ უჩინარ, მაგრამ დიდ საქმეში იყო იგი ჩამბული. ხოლო მის მოღვაწეობას საზოგადოდ ახასიათებდა ის, რომ ყველგან ღირსეულად ატარებდა ეკთილშობილ პატრიოტის სახელს. და, როგორც ჩვენი წარსული მოღვაწეები, ია კარგარეთელიც ვერ ასცდა მტერთა ჯიდღოს, და შაერაზმელებმა დაასახიჩრეს იგი: თითქმის 20 წელია, რაც ია კარგარეთელი ცალ-ხელა განაგრძობს ერის სამსახურს, და მარჯვენა მკვდარი, მარცხენას ატრიალებს ქართულ კულტურის ფარად და ხმალად. ქართველი საზოგადოება ყველაზე მეტად აქ არის მოვალე მზრუნველობა გამოიჩინოს და დამსახურებული პატივის ცემა და მადლობა მოუძღვნას ამ ადამიანს, რომელიც დინჯად, ჩუმად და ენერგიულად ემსახურებოდა და ემსახურება საქართველოს დიდებას.

საიუბილეო კომიტეტი.

ია კარგარეთელი

ვინც ცოტათი მაინც იცნობს ცხოვრებას, იმან კარგად იცის, თუ რა ფასი აქვს ხშირად ამა თუ იმ პიროვნების პოპულარობას, ვისიმე ვგარგვინით შემკობას და სხვა ამ გვარს საზოგადოებრივი ხასიათის დაჯილდოებას. ყველა ამისთვის არაა კიდევ საკმარისი პიროვნების უტყუარი ღირსება: დროება, ადგილი, გარემო, საზოგადოებრივი ატმოსფერა და თვით პიროვნების საზოგადო თვისება—ხასიათი,—აი ხშირად რასა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ხშირია ფრიად ზომიერი ნიჭის და ღირსების პიროვნება, მაგრამ ეს ღირსება ისეთ გარეგნულ ფორმებშია ჩამოყალიბებული ან და ისეთ საზოგადოებრივ ატმოსფერაში მოვლენილი, რომ თუნდ ზუტგი შეაქციო, მაინც თვალებში გეჩხირება. პირიქით—არის პიროვნება, რომლის ღირსებაც, ძალიანაც რომ ეძიო, მაინც საღდაც გემალება! ‘ძიება-კი საზოგადოებას მაინც და მაინც არ უყვარს,—მას უფრო ეადვილება მზა ვმრის **მიღება**, ვიდრე მისი აღმოჩენა. ამისთვისაც ხშირად, რომ დღევანდელ ეპოქაში ერი ხვალ სასაცილოდ ხდება, ხვალ ზეკით-კი ალარავის სწამს: ეს იცნობილება გმირთა სია ატორიის ცხაკში...

ია კარგარეთელი...

არა,—ის არ არის არც მაზინი, არც ვაგნერი, არც ნაპოვნივი, არც გოაკი, მაგრამ ის არც თავსა ხდებს ამაში! მაშინ როდესაც მისმა თანაშრომლებმა და უფრო დაბლა მდგომებმაც ქვეყანა გამოაყრეს და დღეს სახელით დატვირთულნი ცას ეჰაჯინებიან, ია 35 წელიწადია თავ-ჩაკიდებული და ხელ-მოწყვეტილი ჩუმ-ჩუმად დაიარება ჩვენს შორის, ასე გვონია, ეშინიან—არავინ შემამჩნიოსო. აი, სწორედ ამისათვის მეღვიძება სურეილი ცოტათი მაინც „ეკეთო“ ეს თავის თავის ქურდი...

კარგარეთელს თავის დროს ჰქონდა ლამაზი ტენორი, სწავლობდა მოსკოვში, მაგრამ რუსეთის ჰავას ვერ გაუძლო და გამოექცა, რომ მთლად არ დაეკარგნა ხმა. აქ მეღორდა ოპერაში (არა პირველ როლებში), მაგრამ ჩქარა სამოდამოდ მიატოვა სცენა და შეუდგა მასწავლებლობას. ია შშვენიერი მცოდნეა ქართულ საერო და საეკლესიო გალობისა; ბევრი ხალხური სიმღერები აქვს გადმოღებული ნოტებზე; აქვს საკუთარი კომპოზიციაც. ყურადსაღებია აგრეთვე მის მიერ შეკრებილი ხალხური ზეპირსიტყვიერება და სხვ.

პირადად ჩემთვის ია კარგარეთელის უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს არა ზევით ჩამოთვლილი მოღვაწეობა, არამედ მისი **მთლიანი პიროვნება.**

ამ მხრივ ის არის იშვიათი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში.

ია კარგარეთელი არის ნამდვილი მოჰალაქე: პატიოსანი, მკადრი, მოუ[illegible]ტეკელი, მეფეკრი, პირში მოქმელი, შეუბოვარი, მაგრამ მოსიყვარულე, თავმდაბალი—თუმც ისეთი ამპარტავანიც, რომ ვერც კუდს აქნევს და ვერც წელში იხნიქება.

ამან დაღუპა ია!

კარგარეთელი ვერ იტანდა გაიძვერობის ატმოსფერას და ბოლოს მოლად განუდგა ინტრიგანობის ჭაანტოს—ცხოვრებას.

საზოგადოებამაც მისცა ამის ნება და—დაივიწყა!..

დღეს, ვგონებ, კვლავ მოაგონდა.

სალამი ია!

სალამი მეგობარს!

ნ. შიუკაშვილი.

ჩემი მოგონებანი

4.

ია კარგარეთელი

ხელოვნება ისეთივე არსებითი საჭიროებაა ადამიანისათვის, როგორც სულისა და ხორცის საზდო, როგორც ჰაერი, წყალი, ცეცხლი; იგი ადამიანის ბუნებასთან არის ჩაქსო�ილი. რა იქნებოდა, ან რა იქნება ადამიანის ცხოვრება უმისოკოთ, უთოეზოოთ, უსიმღერაოთ? მუსიკა, სიმღერა-გალობა აფაქიზებენ კაცის სულსა და გულსა, ჰპადებენ მასში წმინდა მისწრაფებათა, აცლიან მის გულს და სულს ცხოვრების სიდუხჭირისაგან მოღებულს ჭუჭყსა. ჩვენი ხალხი ამბობს: ის კაცი, რომელიც არ იცინის, რომელიც არ მღერის, ბოროტების ბუდეაო. ამისთანა კაცს სოფდად ეძახიან „უშუბლოს“ და გაუცინარსა“. მართალია, დაუდგება ხოლმე ერს ხანა კირთებისა, მონოპოსა, მისი სული და გული გაითანგება ხოლმე დამონავებულის იეზოიტურს ჯახრაკებში, მაგრამ ერის სული, მისი უზენაესი მისწრაფებანი ჯახრაკებში არ ჩაიქუდება სამუდამოდ. კირთებაში მყოფი ერიც ოცვიძებს. და უდგება აღორძინების ხანა, პირველი მერკალი ამ ხანის არის ხოლმე თეატრი და მუსიკა-სიმღერა გალობით. ჩვენც დაგვდგა ასეთი ხანა თეატრის აღორძინება-განახლებისა სამოცდაათიან წლების გასულს და მუსიკა-სიმღერისა—ოთხმოციან წლების დასაწყისში. სწორედ ამ წლებში ლადო აღნიაშვილმა ოსეთ რატლის ლოტბარობით შეადგინა ხორო. რატლმა ამ ხოროს შეასწავლა როგორც ქართული საერო სიმღერები, ისე უცხო ერებისა. ია ამ ხოროში პირველის მთქმელი იყო ახალგაზდა ია კარგარეთელი.

მინამ ია მოღვაწეობის აღწერას შეეუდგებოდე, ვიტყვი მისს ვინაობაზე: ია არის მღვდლის, გიორგი კარგარეთელის შვილი. კარგარეთელები არიან ბორის მაზრის, სოფ. ერთაწმინდის მცხოვრებნი. მამა იასი, გიორგი იყო ბრგე ვაჟკაცი, მაღალი, მშვენიერის სახის გამოქტეკელობით და ამასთან უებრო მომღერალი. მე ჯერ სასწავლებელში არ ვიყავ, გიორგი გამოამწესეს სოფ. ღოღეთში, მამიჩემის სამრეკლოს მახლობლად. მამა-ჩემმა, როგორც მისმა ნათესავმა, ბინა მისცა თავისთან. ეხლაც მახსოვს ის ტკბილი წამები, როცა მამა-ჩემი, ბაბაჩემი და ახალგაზდა გიორგი მღვდელი დაგაგუბენდნენ ძველებურს სიმღერებს; სადილ-ვახშმის სულ სიმღერაში გადიოდა.

ია ამ გიორგის ოჯახმა მისცა სამშობლოს ორი მომღერალ-მუსიკოსი: კოტე და ია კარგარეთელები. ორივენი სწავლობდნენ ჩემი მასწავლებლობის დროს გორის სასულიერო სასწავლებელში, ორივე ძმანი იყნენ სასწავლებელში საეკლესიო ხოროს მომღერალი. მოგვსსენებათ, კოტე კარგარეთელი იყო შესანიშნავი საეკლესიო მგალობელი და ტფილისის სიონის ტაძრის არქიდიაკონი. უცხოელნიც კი მიდიოდნენ სიონში მის მოსასმენად, ისეთი მომხიბლელი ბარიტონის და ბრწყინვალე სახის ქმნილი იყო, ოპერის არტისტებიც კი მიდიოდნენ ტაძარში იმის მოსასმენად. ერთმა არტისთაგანმა კიდევაც ურჩია, გაეხადნა ანაფორა და წასულიყო იტალიაში სანქტ ბერნარდ. ია, მაგრამ მან ეს არ იკისრა, თავი შესწირა სიონის ტაძარს და უდროოდ მიიცვალა 1914 წელს.

რამდენადაც უფროსი ძმა, კოტე წარმოსადგენი ვაჟკაცი იყო, ბრგე, ახოვანი, იმდენად ია ჰატარა, სუსტი ტანისა იყო. მას ბავშობაში წმინა ხმა ჰქონდა და საეკლესიო გუნდში ალტსა გალობდა. იგი ისე ბაწაწკინტელა იყო, რომ ოდნავ უჩანდა თავი სამოსწავლო პარტიდან. ამისთან იყო ერთოს ცელქი, ცქვიტი და ერთთავად მოეიღინე. ხშირად გაკვეთილის დროს ისე გაიტაცებდა ხოლმე სიმღერის ხალისი, რომ ნელის ხმით დაიღიღინებდა და შეგორდებში ერიამუღს ჩაგდებდა, მასწავლებელი კი შენიშნასა და დარიგებას აძლევდა, მობეზრებული ჰქონდა სასწავლებლის მაშინდელ უფროსს, დათოშვილს თავი მისი სიცელქისაგან. სულ რუსულათა აგინებდა ორთავე ძმებსა (კოტეც ძალიან ცელქი იყო); ერთხელ უფროსმა აიხირა, უნდა ორთავე ძმანი გამოერიცხო სასწავლებლიდან, მოსვენება არა მაქვს მაგთანგანო, ის იგი „ჩორტს“ ეძახდა. მაგრამ მასწავლებლები, როგორც საუცხოვო მგალობლებს, მხარს უჭერდით, თითონაც დათოშვილი სიმღერა-გალობის მოყვარული იყო და გულიდან ამოიღო მათი გამორიცხვა. იამ გორის სასულიერო სასწავლებელი გაათავა, როგორც მახსოვს, ოთხმეციან წლების დასაწყისში, ვადაავანილ იქნა ტფილისის სასულიერო სემინარიაში და ამ ხანადან იწყობა ია ცხოვრება მუსიკეთ. შეიდა აღნიაშვილის ხოროში, რომელმაც ჯერ ტფილისში დაიწყო კონცერტები, მერე გამოვიდა პროვინციაში. ეხლაც სიამოვნებით ვიგონებ იმ წამს, როდესაც პირველად მივიდა ხორო ქ. გორს. ეს იყო, მგონი, 1884 წ.; პირველი ხორო დაავბინავე ჩემთან. ელდასავით მოედო მთელს ქალაქს ხოროს მოსვლის ამბავი. მომ ღერალთა ქუალჯებმა ხალხი მთლად აავარა. უნდა მოგახსენოთ, რომ იმისთანა აღფთოვანებას ხალხისას, როგორც მაშინ იყო, ჯერაც არ მოესწრებიკარ. სკენაზე მოიწევდა ხალხი, ალარ ესმოდა მას, რას სრადიოდა, იქამდე ღრმად ჩასწედა მის სულსა და გულსა საერო ხმები. კონცერტის გათავების შემდეგ ხალხი კიდევ ერთ საათამდე ჯარათ იდგა, არ იშლებოდა. ია ხომ მოღალეს „ურმეულის“ გან-მეორებითა.

ის იყო და ის, შეუდგა ია მუსიკის შესწავლას, შეაგროვა და ჩასწერა ბეეთრისაგანაბეერი სახალხო სიმღერები, ლექსები და ამ საუნჯოთ წაიდა მოსკოვს სწავლის დასამთავრებლად. მისს ბუნებაის ნიჭს გზა ფარითო მიეცა; ზეგადმი მინიეშელი ცუცხლი უფრო გაადვივა, გააცხოველა და ბალე მოსკოვის უნიეერსიტეტთან არსებულს ეტნოგრაფიულ საზოგადოებას გააცნო ქართული სიმღერა, მისი მუსიკა. საზოგადოებამ აღიტაცებით მიიღო ია მოხსენება.

იგი დაბრუნდა სამშობლოში, ეგონება, 1899 წ. და მტკიცეულ შუდგა ქართული მუსიკის და სიმღერის გაეროცელებას ხალხში. იგი იყო პირველი პიონერი, პირველი მერცხალი ქართული მუსიკისა. იგი დაუღალავად, და ხალისიანად შრომობდა, გამოსცა რამდენიმე სიმღერა ხალხში გასავრცელებლად, სწერდა წერილებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სიმღერა-გალობის მუსიკის მნიშვნელობაზე; დღეანდელი მეორე სახელმწიფო კონსერვატორია მისი პირშუმი შეილია: მან შეადგინა წესდება ქართული ფილარმონიული საზოგადოებისა, გიიხსნა ფილარმონია, გაიდნენ გულშემატკივარნი, ხელი შეუწყეს საქმეს და ქართველობა დაეწყოა მუსიკას და სიმღერა-გალობის შესწავლას. ის მკვირცხლი, ცხოველი და მოძრავი ბუნება ამაზე არ შესდგა: მან მიჰყო ხელი ოპერების თარგმნის ქართულს ენაზე, გადითარგმნა ორი ოპერა: „სეეილიელი დალაქი“ და „დემონი“, რომლებიც დაიდგა ია ხელმძღვანელობით ქართველ მომღერალთა ძალებით. ხელოვნების, განსაკუთრებით მუსიკის და სიმღერა-გალობის ენადამიანე უსაზღვროა: თვით გარეულ ნადირის, ზხამინინ გეეღების სულსა და გულსაც კი აზავებს იგი, აღმბიერებს. რა ძალა აქვს ამ ხელოვნების, სულმანათი რუსთაველი, როცა ავთანდილ, ფრიდონისკენ მიმავალს, ამღერებს, ასე ეხატავს:

„რა ეცმფოის მღერა ემისა, სმენად მხეცნი მოეფდიან;
მისსვე ხმისა სიტკბისაგან წყლითი ქვანნეცა გამოსხდიან;
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდიან, ატირდიან;
იმღერს ლეკსთა საბრალოთა, ლეკრისაებრ ეროვნენი სდიან“.

მუსიკამ, სიმღერა-გალობამ ჩვენი ხალხი გამოაფხიზლა, ზე-აღიტაცა, მზიანი დღე ახალეინა. ია კარგარეთელი მარტოხელად არ დარჩა, მას ჩამოეშვენენენ კომპოზიტორები: არაყიშვილი ფალიაშვილი, ფოცხვერაშვილი, ბალანჩივაძე, სულხანიშვილი და სხვანი, გაჩდნენ მომღერალნიც, ასე რომ ჩვენმა პატარა სამშობლომ, მაგრამ მძლავრმა ნიჭებულობამ, მტკიცე ნაბიჯი წასდგა მუსიკალურის მხრივ და ევროპაში ფეხი შესდგა. მწამს, რომ ჩვენში დღითი-დღე წარმატებაში წავა მუსიკალური ხელოვნება და „ეს პაწია საქართველო“ თავის დროზე მეორე იტალიად გადიქცევა, არ არის სარწმუნო ზოგიერთა ფილოსოფოსების აზრი, მაგ. ჭერბერტ სპენსიერისა, რენანის და სხვათა, ეითომ ხელოვნებას-მუსიკას, ქანდაკებას და სხვათა აგრეთვე სარწმუნოებას დაღუპავ მოელისო მაშინ, როდესაც ქვეყანაზე მეცნიერება გამეფდებაო. სარწმუნოებისა რა მოგახსენო, მაგრამ ხელოვნება, განსაკუთრებით მუსიკა, რომ არ დაიღუპება—ეს ცხადია. ხელოვნების დალუპვა წარმოსადგენია მაშინ, როდესაც მთელი კაცობრობა მთლად დაიღუპება და დედამიწა გადაბრუნდება. შეიძლება ხელოვნებამ სახე იცვალოს დროს და გარეგოობის მიხედვით, მაგრამ მისი დაღუპვა კი წარმოუდგენელია, ჩემის აზრით. მინამ ადამიანი ადამიანობს მისს სულში ჩაქსოვილი ტრფობა მზისა, სიმშვენიერისა, სინათლისაკენ უკვდავია. ეს კი ხელოვნებაა.

ია კარგარეთელი და მისმა მომდევარმა მიიღმა დასმა კომპოზიტორებისამ მტკიცე ფუძე ჩაუყარეს მუსიკალურ ხელოვნებას, ასე რომ ამ „მხრივ ჩვენი“ მაწია სამშობლო აღორძინების ხანაშია.

ია კარგარეთელი საოპერო დასშიაც მოღვაწეობდა. მაგრამ მისი ნაყოფიერი მუშაობა შესწყვეტა, ვგონებ 1907 წ. ერთმა შემთხვევამ: მოჰკლეს ბარიათინსკის ქუჩაზე გენერალი გრიაზნოვი; როგორც მახსოვს, ამ მკვლელობაში მონაწილეობის მიღება დასწამეს ია.ს. მიუჩინა ნიკოლოზის მთავრობამ ხულიგანები და ია კარგარეთელი ერთ ერთ ღამეს, როცა იგი ოპერის წარმოდგენიდან სახლში ბრუნდებოდა, შეიპყრეს, გიტაცეს, სტანჯეს და, ეგონნი რა მკვდრად, მიაგდეს ქუჩაში, სადაც მეორე დღეს ცოცხალ-მკვდარი იპოვეს. საშინელი სანახაო იყო ია საავადმყოფოში, მის გარემო სიკეთილი იყო გამეფებული, ეფრენნ წარმოიდგენდა იმის გამობრუნებას; სახე აღარ სჩანდა, მასზე იყო აღებული მოწამებრივი ტანჯვა-ვაების სურათი, რომელიც უნიებლიეთ ცრემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლსა ჰგვრიდა მნახველსა, მაგრამ იას მაგარმა ბუნებამ დასძლია საშინელი წამება, გამოკეტდა ნელნელა, მაგრამ მარჯვენა ხელ-ფეხი დაუშვადა. შეიძლება, სხვა უმისოს, მოღვაწეობისათვის თავი მიენებინა, საამე კუთხეში მიგდებულიყო და ტანჯვა-წამებით დალოვნა თვისი მწარე დღენი. თუმცა ია ჩაგარდა იმ ყოფაში, რომელსაც მკაფიოდ ასურათებს ხალხური ლექსი:

„წუთისოფელმა დღე ჩემი ძირიმწარე
დამალვეინა,
არც მომკალა, არც დამარჩინა, არც
დღენი დამალვეინა,—

მაგრამ ია არ გატყდა, არ შეუშინდა ცხოვრებას, არ დაჰყარა მშვილდ-ისარი, მარცხენა ხელმა მარჯვენაობა გაუწია, მისმა ტანჯულმა სულმა მეტი ძალა იგრძნო და მძიმედ და მძიმედ დაშავებული კვლავ შეუდგა მოშაობას: მისი ისტორია ქართული მუსიკისა და სიმღერა-გალობისა ძვირფასი განძია. ვინაიდგან ია კარგარეთელ ჯანი გაუტყდა, საოპერო დასში დარჩენა შეუძლებელი გახდა, მიჰყო ხელი ეპეტანჯვა-წამებით დალოვნა თვისი მწარე ოსკის შესახებ და მასწავლებლობას მუსიკისა და სიმღერა—გალობისას სხვა და სხვა სასწავლებლებში, სადაც დღესაც მასწავლებლობს.

ფიქრს სამშობლო ერმა გიახლენა ია კარგარეთლის ოცდაათი წლის ღვაწლი და სამადლობელ დღესასწაულს უხდის ღირსეულს შეიოსა.

სოფრომ მგალობლიშვილი.

სრ. სამ. მწერალთა კავშირის ფლეშური კრების მოკლე ანგარიში

კრება იხსნება ხელოვნების სასახლეში აპრილის 12-ს საღამოს შვიდ საათზე. დაესწრო 85 წევრი.

კრებას გახსნილად აცხადებს კავშირის სამეფოს თავმჯდომარე **კოტე მაყაშვილი.**

პრეზიდიუმის არჩევა.

პრეზიდიუმში ხმის უფროსულობით არჩენენ: თავმჯდომარეთ ნიკოლოზ მიღაშვილს, თავჯდომარის ამხანაგებათ არ. ჯაჯანაშვილს, განდეგილს, მდგომენთათ დემნა შენგელიას, ს. ფაშალიშვილს.

კრება ფეხზე ადგომით პატივსა სცემს გარდაცვლილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ხსოვნას.

კრებას ესწრებიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენელნი.

დღიური წესრიგი:

1) მოხსენება მწერალთა კავშირის სამეფოს მოქმედების შესახებ.

2) მოხსენება სამეფოს ფინანსიური ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა.

4) კავშირში ახალ წევრთა მიღება.

5) წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა.

6) სამეფოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

7) მიმდინარე საკითხები.

მოხსენება სამეფოს მოქმედების შესახებ. მომხსენებელი კ. მაყაშვილი.

სამეფოს არა ჩვეულებრივ პირობებში უხდებოდა ოუშაობა. მოკლეშეული სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ ნივთიერ დახმარებას, იგი უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებოდა და თუ კავშირი არ დაიშალა—უნდა მიეწეროს ქართველ მწერლების ტრადიციით შეთვისებულ გამძლეობას და თაგვანწორეას. საანგარიშო წლის განმავლობაში კავშირს გამოაცალეს ერთად ერთი შემოსავლის წყარო „ქიმეფიონი“, რომელიც ჯერ განაალეგ-ბოხსენებებს კამათი არ გამოუწვევია და დამაკმაყოფილებლად იქნა აღიარებული, რის შემდეგ კრება გადადის ახალ წევრთა მიღების კენჭის ყრაზე. მიღებულ იქნენ ხმის უმეტესობით ოცდაერთი ახალი წევრი.

წესდების განხილვა.

ვინაიდან ძველი წესდების ძალით კავშირს ენიჭება პროფესიული ფუნქციები, ხოლო მწერალთა კავშირი კი ამიერიდან უნდა იქნეს მხოლოდ კულტურული, რადგან ხელისუფლებას იგი არ მიაჩნია პროფესიონალურ კავშირათ, ამისთვის საჭიროა წესდების სათანადოთ შეცვლა. ანრთა გაკეთა-გამოცვლის შემდეგ კრება განდუმს საბჭოს წარმოიდგენოს მას შემდეგ სხდომისთვის წესდების პროექტი. კამათს იწვევს საკითხი კავშირში წევრად მიღების შესახებ, თუ რა საზომი უნდა დადგოს სახელმძღვანელოდ კრებას ახალ წევრის მიღების დროს. კამათში ბევრმა დამსწრე მწერალმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ კონკრეტული გარდაწყვეტილება მაინც ვერ იქნა მიღებული.

კრება დაიხურა საღამოს 11 საათზე, და განსახდა აპრილის 13-ს საღამოს 8 საათზე. კ. მაყაშვილი კითხულობს შესწორებულ წესდების პროექტს, რაც კრების მიერ მუხლობრივ იქნა განხილული, შესწორებული და მიღებული. კამათი გამოიწვია საბჭოს წევრთა რაოდენობისა და საწევრო გადასახადის განსაზღვრამ. მიღებულ იქნა საწევრო გადასახადი წლიურად 50 კაპ. ოქროთი და საბჭოს წევრთა შემადგენლობა 13 კაცისაგან. არჩილ ჯაჯანაშვილის წინადადებით კრებამ კამათის შემდეგ შეიტანა წესდებაში ახალი მუხლი, რომლითაც კონფეტენციას უფლება ეძლევა გამორიცხოს კავშირიდან ის წევრი, რომელიც თავის საქციელით ჩირქს მოსცხებს კავშირს.

წესდების მიღების შემდეგ, რომელიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს სათანადო მთავრობას, კრება გადავიდა საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნებზე.

არჩევნების შედეგი:

საბჭოში არჩეული იქნენ: მაყაშვილი, შიუკაშვილი, ი. გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, ვ. რუხაძე, ობოლი მუმა, მიხ. ბოჭორიშვილი, არ. ჯაჯანაშვილი, ცქვიტი, ვ. სალვარელიძე, ს. ფაშალიშვილი, მიმკოალი.

სარევიზიო კომისიაში: ლადო ახობაძე, არ. ახსაზაროვი, გ. მუმლაძე.

არჩევნები მოხდა ფარული კენჭის ყრით.

კრება გაგრძელდა ღამის პირველ საათამდე.

პროგენციიდან იყო დეპეშები.

პაგარა ფელეტონი

წუნარი ოაზი

რა კარგი ხარ მთავარის კაშკაშში, როცა მოსეენებით დალეულ გულს ესაუბრები, და შენი ხმის მუსიკა ჯანარი თითებით აჩხეკს და აღვიძებს მძინებნელულ ზღაპრებს!...

წყნარად შრიალებს ალვის ხე და ვერხვის ფოთოლი.

გაზაფხულის ნოტია ჰაერი აგათრთოლებს, ერთი წუთით გაგრძნობინებს სხეულს.

მთვარე კი გულში ჩაგწდომია, აუფრქაჭებლად ფურცლავს ლამაზი ცოდვებით სავსე ბიბლიას...

და არხიდან გადმოლეწილ ტბორეში გაუბედავად უყიურად ერთმანეთს წყლის იალდნენ.

შენ ლაპარაკობ: ყველაფერზე, რასაც გაზაფხულის ღამს უნებლიოდ შეეხო ვარდის ბაგე, პაწია ხელი, ბუნდოვანი ოცნება...

მაგრამ მე მხოლოდ მუსიკა მესმის.

და ისევ მუსიკა,—შენი კისკისი, სოფლის მობუტბუტე ბნელ კუთხეებში ძილს რომ უფრთხობს იქვიანობას... უეცრად:

— დედამ შემოგითვალა, მოდიო!—

— აა?!.—შეეკრთით და შეეყურებთ პატარას... მერე ეუნჯება მოფერებით:

— უთხარი, ჩემო, ეხლაეე მოვალთქო!—

და ერთი წუთით ძმის ხუჭუჭა თავი გარემოიცვა და ალერსით მიისვენა გაზაფხულოთ გაშლილ კოკერბზე... ის გაზაფხულისა: არ იჩქარის დედისაკენ გაქცევას... და ზეპირად იმეორებს:

— მოდიო!—

მაგრამ მუსიკა არ შეწყვეტილა.

თითქო ჭრელს ნუსხაში გადაშალეს ერთი ფურცელი, და ისევ შეირხა მიმალული კლავიატურა, შეირხა და თმაკაშვილი ზღაპრები თვალების ფშვნეტით წამოიშალნენ დედამიწაზე...

*

მოჩუქურჩულე ფოთლებით დატვირთულ ეიებს, ცალის ხმრით რომ არიან გაშუქებული და ჩაეიქრებულ რაინდებიანთ აქნევენ თავებს,—ენა არა აქვთ.

ცეცეა-დანატრებულ, ენებით მოტორტმანე ჩრდილებს წინწილ-ებანი ვერ უშოვიათ.

მთვარის ლურჯ ოკეანეს ლოცვა ვერ უთქვამს ნამდვილ სიტყვებით...

და აი, შენ, პაწია გამოგაგზავნეს, რომ მათი საიდუმლო ჰყეფდეს ქვეყანაზე.

*

წუნარა...

რა ჩქარა გარბის დრო!..

დიდი ხანია, რაც საყდრის დარაჯმა შემოკრა ზარას და სამი მოწყენილი ბგერით ძილისპირი აუწყა სოფელს.

მთვარე ზენიტს გადასცილდა...

— შენ უკვე მიდიხარ?.. მშვიდობით, ძვირფასო!..

მთვარე მიესალმა.

კაკლის ხეს ჩრდილისა და ნათელის ქრელი მარმაში მოახვია.

ალვის ხეს მადლობა გადაუხადა.

ვერხვის ფოთოლმა რაღაც დაანარა.

და გზის მოსახვევში ლანდივით გაჰქრა და მიიმალა.

— მშვიდობით, ჩემო კარგო, მშვიდობით...

— დაგესიზმროს ვარსკვლავებით მოფენილი გზა,—სამუდამო გაზაფხულის ქვეყანაა, და მთელი სინათლე, რაიც შენს სულშია, ლიმილად დასდგომოდეს... ყველას, ვისაც კი ღიმილი ენატრება!..

მაგრამ?..

თითქო მთელი სივრცეები დაცალიერდა სულში და მოვარდა ჯადოსნური ღამის ტალღები, მაგრამ მაინც ვერ გაავსო იგი.

ამ წუნარმა ღამემ დამირღვია მე მეფფრორება... და, რა ვქნა, როცა არ მეძინება?...

რა ვქნა როცა ვერ დავიძინებ?..

რაც უნდა ვაფიქრო, ვიცი, უკეთესს ვერ მოვიგონებ:

წვიალ ისევ, გავიარ იმ შუკაში, სადაც მისი სახლია. და წყნარად დავუსტეკენ.

თუ სოფლის თვალმა შემამჩნია, გაბედულათ მივალ, სახეში ჩავხედავ, მარჯვენა ხელს ჩკერდზე დავიდებ და ჰპოეტიური ბანით ვეტყვი:

— იცი? ამურის ისრებით ვარ მძიმედ დაჭრილი და ძილი არ ეკარება ჩემს თვალებს!

იმედ-დაკარგული, ნაწყენი შემომხედავს და თავის გზას გაუდგება.

და ვიღა მერე მთელი ღამე მთვარით დამთვრალი, სანამ მზე, ან სიყვარული არ გამოხედავს თავის სარკეელიდან...

*

სძინავს სოფელს, და ვიცი: შავი სიზმრები დაფრინავენ თვალებ-ჩაძვრილ სახლებში. მაგრამ დღეს სოფლის ოხვრა ბეღნიერ გულს არ ეკარება.

არხის პირს ეზიარ მარტოდ-მარტო და ვუსმენ მძინარე წყლის ტლოშნას, ვუსმენ ღამეს, ვუსმენ მთელ ქვეყანას.

რეგვენი გული ძსოფლოს ოდენაა ამ ღამით.

მწვანე, ბუსუსიანი კვირტები გამოუშვია და ვერ დავაჩუმე. რეკავს და მღერის:

„სიცოცხლე ასე მშვენიერია!“

არა, მე არ მეძინება ამაღამ!..

გხედავ, ძვირფასო! დედის წინ დგეხარ, ვით შეელის ნუკრი შეშინებული. ხელები ძორჩილად კალთაზე დაგიწყვია; თავი ჩაგიღუნავს და უსმენ:

— გოგო, ხომ იცი, რას ატყვიან! ჩვენ სოფელში ვართ... არ ვარგა ღამით ვიფთან განმარტოება, რომელსაც ენაზე თაფლი,—მაგრამ, ამა ვინ იცის, რა აქვს გულში?!!—

ჩემო კარგო!..

დედის მოტყუება მართლაც არ ეარგა... რა იქნება, უთხარი დედას, რომ ჩემს გულში მხოლოდ შენა ხარ.

მხოლოდ შენ...

ინდო სოსანიშვილი.

ბუნებისათვის ეემოქმედებისა

გრძნობითი ტონი და სოციალური სიმპატია

სულიერობის პროცესში გრძნობის, ნების და ინტელექტის ელემენტები ორეული ერთმანეთთან, მაგრამ ჩვენი ყოველდღიური მოქმედებისა და მოძრაობის წუთებში ჩვენს სხეულს, ჩვენს ტანს ამოქმედებს ხან გრძნობა, ხან ნება, ხან გონება,—ჩვენს ინდივიდუალობას წინ მიუძღვის რომელიმე ფსიქიური ელემენტის **ეგზიუბერანსი.**

ფსიქიური ეგზიუბერანსის დროს ჩვენი მე ყოველთვის აქტიურია და პასიოსანია: ღელვა, მოძრაობა, ხტუნვა, რიტმიული თქმა, ტემპერი, სურვილების ტორტმანი ფსიქიური ეგზიუბერანსების სიჩვენებელია,—და ის, რასაც ფრანგი ფსიქოლოგები ემოციას ეძახიან, ორის ეგზიუბერანსის ესტეტიურად დამთავრებული ფორმა.

ესთეტიური ემოცია ბოლოს და ბოლოს სურვილების აჩქეფებაა და სხვე, რომელიც ჩვენში ესთეტიურ ემოციას იწვევს, ყოველთვის პირდაპირ ან პირუკუღმა შეეფარება ჩვენს სურვილესა და მიზნებს; მხოლოდ თვით სურვილები და მიზნები შეადგენენ ფსიქიურ ჩვეულებათა შედეგს და ჩვენს წარმოდგენაში ინასებენაან, აეწყობიან იმ სისტემით, რომელიც განმტკიცებულა, შესახებულა და გაყოფილდებულა ჩვენს პლანეტარულ-ტერიტორიულ ყოფის პირობებში, რომელიც შეადგენს ერთგვარ შეთანაბრებას ტრიბიული ინდივიდუალობისა და სოციალ კოსმიური რეალობის შორის.

რეალობა და რეალობის ღირებულება ფაქტია ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც ჩვენში ხდება **შემოქმედებითი გასახიერება** ამ ფაქტის; ჩვენში რომ შემოქმედებით გასახიერებას ადგილი არ ჰქონდეს, რეალობის ყოველდღიურ მიმდინარეობაში ჩვენ ვერ მოვნახავთ ვერც **რიგს**, ვერც **ხარისხს**; ღირებულების საკითხიც ჩვენთვის უცნობი იქნებოდა; სავალნოდ ეს ჩვენ ვთვალიერებთ, დათვალიერების პროცესში ჩვენს მე-ს შეაქვს თავის ფსიქიური ჩვეულებანი, ფიქრები, ინტერესებისა და მდგომარეობის გავლენით; ყოველგვარი ჩვეულება ყოველთვის წარმოდგენს ორგანოტროპიულ ძალას, პოტენციას და დგომეულ ინდივიდუალობისა და სოციალ-კოსმიურობის ხმამაღწყობიანობა.

შეგრძნობა, როგორც ფაქტი ფიზიოლოგიური, არ არის ღირებულები მიღება და საყოველთაო ცხადყოფა: ლექსის წაკითხვა, სურათის დათვალიერება, ლამაზი მეტყველების მოსმენა შეიძლება შეეგიანებინო ოოგორც ფაქტები, მაგრამ თვით ამ ფაქტების ღირებულების გამოსარკვევად ეს არ კმარა: საჭიროა **გრძნობითი ტონი.**

სოციალ-კოსმიური მოცემულობა, ტერიტორიული და ისტორიული milien მხოლოდ მასალაა გრძნობითი ტონნისთვის; თვით გრძნობითი ტონი მეორე შემოქმედებაა: ტენის დიდი შეცდომა იმაშია, რომ ვერ ხედავს ცივილიზაციის ისტორიაში, განსაკუთრებით კი ხელოვნებაში, გრძნობითი ტონის მნიშვნელობას; ტენი ატყობს, რომ არის შემოქმედებით ასახვაში რაღაც მაგიური, ჯადოსნური, რაღაც **პოტენციური,** მაგრამ ამ მაგიურობისა და პოტენციალობის წყაროს ვერ ხედავს, ვერ აბჩნევს, რომ ამის მიზეზია გრძნობით ტონი, რომელიც ყოველ პირობებში ჰქმნის ახალ რეალობას—ესთეტიურ რეალობას.

ჩვენ ვგიქვს უფლება ვიღაბარაკოთ ესთეტიურ რეალობაზე, რომელიც განსხვავდება ემპირიულ რეალობისაგან; ემპირიული რეალობა ყოველთვის გრძნობით ტონს არ მოითხოვს; ესთეტიური რეალობისათვის გრძნობითი ტონი აუცილებელია: მუსიკის მოსმენა ყველას შეუძლია, მაგრამ ზოგიერთისთვის მუსიკა იქნება მხოლოდ ემპირიული, ფიზიოლოგიური რეალობა, ზოგიერთებისთვის მართლა მუსიკა; ვისაც მუსიკალური სმენა არა აქვს, ის მეთხოვნენის სიმფონიაში მთვრალულ გაურკვევლობას შეიცნაურებს; ვისაც მუსიკალური სმენა აქვს, ის რიტმიულ გარკვეულობაში იქნება; ამის აღიარებულია ფსიქოლოგიურად წარმოადგენს ივან-არაკი—„ვირი და ბულბული“.

რეალობის ესთეტიური სახე ორი ფაქტორით ისაზღვრება—ერთი არის ობიექტიურ გრძნობათა მოცემულობა,—მეორე **ჩვენი დამოკიდებულება** ამ მოცემულობასთან, ჩვენი შემეცნების ემოციური **მყარობა,** რომელიც ჩვენში ორგანოტროპიული ჩვეულების გამოსსახველ ღირებულებას მიათვლებს მოცემულობას.

მაგრამ ეს ხდება სტატიურ-რაკინალისტურ ათვალების დროს: დინამიურ-ინტუიციურ ათვალებში ობიექტურ—გრძნობითი მოცემულება და ჩვენი დამოკიდებულება ამ მოცემულობასთან თავის გრძნობითი ტონით ერთს მთლიან სახეს იღებს. შეცნაურების პროცესში ჩვენ გვაქვს შინაგანი ხილვისა და გარეგანი მოცემულობის გაერთიანება: ნოუმენი და ფენომენი ბოლოს და ბოლოს სუბიექტივობისა და ფენომენალობის სფეროში იკვეთვნან; მე და არა-მე—ორივე მეობის შემოქმედებაა და კანტის ანთროპოლოგიზმს აკლია **ანთროპომორფიზაცია: საგანი ღებულობს ობიექტის სახეს მხოლოდ იმ წუთიდან, რა წუთს საგანს უახლოვდება სუბიექტი.** ობიექტი საგნის სუბიექტივაციის სტატიური ფორმაა; დინამიურად საგნის შეცნაურება ედუღება ანთროპომორფიზაციის პროცესს: სუბიექტის წინაშე ობიექტი ჰკარგავს საგნობრივობას, უძრაობას; იმ წუთს, რა წუთს საგანს დაეარქვით სახელი, საგანი გარდაიქცევა თვისებათა **ესთეტიურ ინეეგრალად,** სახელი კი ნომინალური ოდენობის კოეფიციენტად.

სუბიექტი როდესაც ობიექტს უახლოვდება, ობიექტს ისე ემართება, როგორც ნივთს, რომელსაც უკიდებენ ცეცხლს: რეფლექსია ატარავს ირგვლივ საგანს და საგანი აენთება ჩვენს შინაგან ხილვაში, როგორც ნივთი ცეცხლის ალში; **საგნის თვისებათა შეცნობა სახეთა ვაინტეგრალებაა ჩვენი შინაგანი ხილვის პოტენციალობაში.**

ჩვენ როდესაც ვიწყებთ აზროვნებას, ჩვენს მეობას შეაქვს საგანში რაკეა და საგანი იქცევა ჩვენი შემოქმედების თვალიანში საგნობრივობის დროოუ მოღუსად: საგნის მყარობა და სოლიდობა განიწვალებიან ჩვენს შემოქმედებით შეცნაურებაში. სუბიექტი ქურდულად კი არ შედის თავის ინტუოციით საგანში, არიმედ **რეფლექსიურ სპეკტში** ითვისებს საგნის ობიექტივობას, ინტეგრალობას, რომელიც ბოლოს და ბოლოს **ორგანოტროპიული, სუბიექტიური და ობიექტიურია** ინტიმს, რომ შემეცნების პროცესი ერთვევრი **პოეზია** და ამ პოეზის მთავარი გმირი, **ვაეური** ელემენტი მხოლოდ **სუბიექტია:** სუბიექტისა და ობიექტის შორის ფოლსოფიური დიალეგი რომ გიიმართოს, ობიექტი ეტყოდა სუბიექტს ისე, როგორც ელაპარაკები ბისერნის ერთერთ დრამაში შეყვარებული ქალი თავის საყვარელ ვაეს:—მე ის მინდა რაც შენ გინდაო. სუბიექტური სკეპსისი აღიარებს შემეცნების „ლოგიურობის“ შინაგან წინაალმდეგობას: სუბიექტივაცია გვარწმუნებს, რომ რეალობა სხვა არის, მოცემულობა სულ სხვა, რეალობა მოცემული არ არის, **მოცემულობაში რეალობა არ შეეფარა: მოცემულობა დრაფელი ჩვენებადი და ქცევადი;** მოცემულ საგანთა საყარო გალეერეა აწყობილი ორგანოტროპიული ამერიკეტაციის ესთეტიზმით.

შეფარდებულებით პოტენციალ ყოველობის იძლევა არსებობის საშუალებას და ამ საშუალებაში მიზნად არჩეულია არა ინდივიდუალობა ცხოვრებაში, არამედ **ცხოვრება ინდივიდუალობის.** ცხოვრება ინახება თვით არსებობაში და დენის პროცესი არ იყარება არაფერს გარეულს, რაც არაა შეგუებული მასთან: რაც არის სამყაროში, ლებულობს ფშშეფო მონაწილეობას ყოველობის ეულსაციაში; სიღრმეში მარტოობას ადგილი არა აქვს, ყველაფერი ერთმანეთთან არის გადაკავშირებული და ვისაც ეწყვრილ დაკმაყოფილება უნდა, საჭირო არ არის წყადში ჩავარეს, საკმარისია პეშვით ან ბურჭლით ამოიღოს....

წუთისოფლად ღირებულება **ინდივიდუალ** ღირებულია, **რამდენად ჩვენს** სურვილებსა და ინტერესებს გამოსახავს: ღირებულება თავის თავად არ იცვლება არაეთარ პირობებში. იცვლება მხოლოდ **ჩვენი დამოკიდებულება** ღირებულებასთან: ეუშმარიტ ღირებულება ყოველთვის სოციალ-ფენომენიურია და **ღირებულების** საკითხი ბოლოს და ბოლოს **დამოკიდებულების** საკითხია. ნიცშეს შეცდომა იმაშია, რომ ღირებულებას ხედავ ღირებულების ინდივიდუალურ განთვისებაში, მაგრამ რა არის ინდივიდუალური განთვისება, თუ არა ერთგვარი ფორმა სოციალობის, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით: ურთიერთობიდან გაქცევა ბოლოს და ბოლოს **ურთიერთობის ექსპანსიებაა:** ამის იღუსტრაციაა ოსკარ უალდის ტრაგედიული განცდა და მეტა-მორკოზა.

იდეოლოგია კაცობრიობის მისი პლანეტარული არსებობის **სპირიტუალიზაციაა** და ყოველი ეპოქა ამეტყველებს თავის ტკივილებს, ასხივოსნებს თავის განცდას სოზაგადოებრივობასა და მდგომარეობის კალაპოტში. ხელოვნება, როგორც ნაწილი უნივერსალური სპირიტუალიზაციის, არის ესთეტიურ საშუალებათა მეთოდიური **დათანწყობება,** რომელსაც მიანდად აქვს დასახული გამოიწვიოს ჩვენში გრძნობანი და ნდომანი, შენახულნი ორგანოტროპიული მეხსიერებით...

ესთეტიური ემოციის საფუძველია შეგრძნობა **ნათესაობისა** იმასთან, რაც იწვევს ესთეტიურ ემოციას და რაც წაადგეს პირდაპირ ან პირ-უკუღმა წარსულის, განვლილის, განცდილის მეხსიერებას: სახე, რომელიც ჩვენ ვეგიგონდება მსგავსებისა, ან წინააღმდეგობის ასოციაციებში; სიამოვნება, რომელსაც ჩვენ განვიცდით ესთეტიური ხილვის და განცდის დროს, დამოკიდებულია იმაზე, თუ როოოდენად მოხერხებულად, ვირტუოზულად იქრება ჩვენს სულიერებაში ხელოვანი, შემოქმედი ინ სულიერ მოელენების აქტიურ მოძრაობაში მოსაყვანად, რომელნიც შეუნახავს ჩვენს ინდივიდუა-

ქართული დრამა

რუსთაველის თეატრი

„მაკბეტ“

ვისაც შექსპირი არ ესმის—მისთვის უტყვია ენა პოეზიის.

ტრაგედია „მაკბეტ“ ერთი იმისთანა ნაწარმოებია, რომელიც ჰქმნის განსაკუთრებულ ციკლნს პოეტურ შემოქმედებაში. „მაკბეტ“ როგორც სხვა შექსპირის ტრაგედია, სცენიურ ხელოვნებაში რჩება უძლეველი და ბევრ საკითხში ამოუწურავი. 1923 წ. აპრილის 19 თარიღი ქართულ თეატრის ისტორიკისისთვის დარჩება როგორც დიდი მოვლენა... არა იმ მხრით, რომ ამ დღეს ჩვენ გვენახოს ქართულ სასცენო ხელოვნების გამარჯვება, არამედ იმით, რომ ქართული თეატრი გზას აკეთებს მაღალ მიღწევებისაკენ. ტრაგედია „მაკბეტ“-ის სცენაზე განსახიერება—იყო და არის, ყველა თეატრის მაღალი იდეალი. ვერც ერთი თეატრი მსოფლიო მაშტაბით აღებული ვერ ჩასწვდა ამ დიდებულ ტრაგედიას სავსებით და თუ ქართველ თეატრშიც ჩვენ ვერ მივიღეთ ის, რის მოლოდინიც გვქონდა, გასაკვირი არ არის.

„მაკბეტ“-ის დადგმა გამართლდება უპირველესად იმით, რომ იგი პირველად დადგება ქართულ სცენაზე. რეჟისორ მ. ქორელის და ალ. იმედაშვილის იდეია „მაკბეტ“-ის დადგმისა უსათუოდ მოსაწონია. და თუ ვერც პირველმა, როგორც რეჟისორმა, და ვერც მეორემ როგორც მსახიობმა, რომელმაც თავის საბენეფისოდ დასდგა „მაკბეტ“-ი, სავსებით ვერ გაამარჯვეს, ეს უნდა მიეწეროს იმ აუარებელ ტეხნიკურ დაბრკოლებებს, რომელიც წაღად ჰხედათ ამ მტკად ურთულეს და უძნელეს პიესის დადგმის დროს.

ტრაგედია „მაკბეტ“ არის ნამდვილი მისტერია ტრანსცენდენტალურ იერით შემოსილი. ფატალისტურ ბედისწერაზე აგებული და სტიქიურ კონფლიქტზე დამყარებული ტრაგედია, ერთის განვერტეთ, ისახეს ჩვენ წინ როგორც მსოფლიო კატაკლიზმი. მე არ ვიცი მსოფლიო ხელოვნებაში მეორე ისეთი ნაწარმოები, რომელიც შეეფარებოდეს თავისი სიმძაფრით, თავის სისრულით შექსპირის „მაკბეტს“.

ამიტომ მისი სცენაზე განსახიერებისათვის საჭიროა დიდი ენერგია, დიდი სულიერი და ნათიური რესურსები, რათა დაახლოებით მაინც მისწვდე მის უმაღლეს წერტილს.

ნიჭიერ მსახიობ ალ. იმედაშვილის ბენეფისში დადგმული „მაკბეტი“ შექსპირის „მაკბეტს“ სრულიად არა ჰგავდა. ამის დასამოწმებლად შეგვიძლიან ის ფაქტი მოვიყვანოთ, რომ ამ საღამოს დამსწრეთა შორის ვერ იპოვიდით ვერც ერთ მაყურებელს, რომ „მაკბეტ“ მოსწონებოდა, შეიძლება „ჰამლეტ“ ან „ოტელო“ ითამაშო სრულიად უბრალო ფონზე და მოახდინო მაინც დიდი შთაბეჭდილება, მაგრამ „მაკბეტ“ კი განსაკუთრებული სამზადისი სჭირია. აქ უნდა იყოს ხმატვრის ფერადების გამარჯვება, რეჟისორის დიდი ფანტაზია, მსახიობის სტიქია და ანსამბლის ნამდვილი დოღი.

რეჟისორ მ. ქორელს აქვს სასცენო კულტურა, მაგრამ „მაკბეტზე“ მას ეტყობა მცირე ხანი უმუშავნია, თორემ იგი შესძლებდა უკეთეს დადგმას. ყველაზე უფრო მოისსუტებდა მეოთხე მოქმედება. ეს სცენა მეტად ძნელია პიესაში და ამისთვის დიდი ყურადღება უნდა მიექცია რეჟისორს. ეს სცენა განსაკუთრებულ ფონს თხოულობს. შექსპირის ფანტასტიკა უნდა დაყვანილ იქმნეს უკანასკნელ შტრიხამდე.

ალ. იმედაშვილმა ამ საღამოს თავის ტემპერამენტით იძოწწა და არ მიუცია არც ერთი ასათრთოოებელი მომენტი. „მაკბეტის“ თამაში დიდი პათოსით უნდა იყოს დაწყებული... ერთად ერთი კარგი მომენტი, რომელიც ალ. იმედაშვილს ჰქონდა, ეს იყო დუნკანის მოკვლის შემდეგ. სცენა გასისხლიანებულ ხანჯლებით და ლედი მაკბეტის შეხედვა უსათუოდ იყო ტრაგიული და შესაზარი. სცენა ბანქოს ამრდილთან გაფუჭდა სრულიად, ამაში დანაშაული იყო სცენარიუსი. რომელმაც ბანქო მეტად ბევრი გამოუშვა და მსახიობს გაუფუჭა მეტად დიდი მომენტი. ბანქოს ამრდილი შემოდის და ჯდება მაკბეტის საკარძელში. მაკბეტი ჯერ გართულია ფიქრებში. როდესაც სტუმრები მიიწვევენ მაკბეტს მაგიდასთან მაკბეტს ეუცნაურება ის გარემოება, რომ მაგიდასთან ადგილი აღარ არის და ყველა საკარძლები დაქერილია. მაკბეტი შეეკითხება სტუმართ: „დაეჯდები, მაგრამ ყველგან რომ სხედანო!“ სტუმრები მიუთითებენ მის საკარძელზე. მაკბეტი აჩერდება თავის საკარძელს და ჰხედავს უცნაურ მოჩვენებას და საზარელი ხმით შეჰყვირებს: „ლორდები, ეს ვინ ჰქმენით!“ მაგრამ ლორდები პირ-შმოალნი გოიკეთით შეჰყურებენ გადარეულ მაკბეტს. მაკბეტი აკვირდება მის საკარძელში მჯდარ უცნაურ სტუმარს და შემდეგ რწმუნდება, რომ ეს ბანქოა ნამდვილი, საფლავიდან ამდგარი. იშლება საშინელი სურათი, რომელიც უნდა ერეკანტული დაუაროს ტანში მაყურებელს. მაგრამ საამუბაროდ ჩვენ სცენაზე ამას ვერ მივლენეთ. უკანასკნელ მოქმედებაშიც ვერ იყო მძაფრი შტრიხები გავლებული.

ლედი მაკბეტი—ნინო ჩხეიძის გადმოცემაში მეტად რბილი გამოვიდა. ამის მიზეზია ამ მსახიობის ლირიზმი, რომელსაც საკმაო სიმტკიცე და რკინის ნების-ყოფა ვერ მისცა ამ სახეს. ჩვენ ვგვგონია რომ ნინო ჩხეიძეს ტემპერამენტი მაინც გაიმარჯვებდა, რომ მსახითან ქალს ამ როლზე დიდი ხანი ემუშავნა და ან უფრო ადრე ეთამაშნა ლედი მაკბეტის როლი, ვიდრე მის მომჯადოვებელ მოდულაციებით აღსავსე ხმას მეტი გამძლეობა ჰქონდა. ლედი მაკბეტი გაქვავებული, გასაალლდევებული პიროვნებაა. ცივი რკინაც ყინნა სხვის გულის ბასუხში, ხოლო თავის საკუთარ ნებისყოფაში შეუდრეკელი და მაგარი როგორც რკინა. თვითეული მისი სიტყვა უნდა გაისმოდეს ისე, როგორც დიდი ყვერთხის დაცემა დიდ ბრდღვლზე.

კარგი იყო პ. კორიშელი (ბანქო). მსახიობს ჰქონდა შესაფერისი ტიპიკულიაცია და როლიც უსათუოდ დამუშავებული და განცდილი აქვს.

ამ საღამოს აღსანიშნავი იყენენ ს

პროფესორ დ. შულცის წერილი

(საქ. კულტურულ ნაშთთა გამოფენის შესახებ გერმანეთში)

ჩვენს თანამემამულე დ. წერეთლიდან რედაქციამ და მწერალთა კავშირის საბჭომ მიიღო დ. შულცის წერილი, რომელიც ეხება საქართველოს კულტურულ ნაშთთა გამოფენას. ასეთივე მიმართვა, რომელსაც ჩვენ ქვეკეთ ვათავსებთ მოსვლია აგრეთვე განათლების კომისარიატთან არსებულ მთავარ სახელოვნო კომიტეტს. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ განიხილა რა ეს მიმართვა, დადგინა, სთხოვოს მთავარ კომიტეტს მიიღოს შესაფერი ზომები და კომიტეტთან დაარსებულ კომისიაში წარგზავნოს თვისი რწმენებული. ვბეჭდავთ წერილს უცვლელად.

კომერციულ მეცნიერებათა კანდიდატს დათ. კო წერეთელს ნიურნბერგში.

ბ. ხ.

დაყრდნობილი ჩვენს ნაცნობობაზე, ვბედავ მოგცეთ შემდეგი შეკითხვა: როგორც იცით, ჩვენ უკვე რამოდენიმე წელია ჩვენს მშვენიერ გარიენტორის გალერეაში ვეწყობთ გამოფენას, რომელიც იწვევს საერთო ინტერესებს. ჩვენთვის სასიამოვნოა, როდესაც ყოველთვის შეგვეძლება მთელი ქვეყნის, ხელოვნებისა და კულტურის მიმოხილვის მიცემა.

ყველას კარგად ახსოვს ავსტრიის ხელოვნების დიდი გამოფენა. გარდა ამისა ვანვითარდა ცხოველი დამოკიდებულება ჩვენსა და თქვენ ქვეყნის გერმანეთისა და საქართველოს შორის, ამიტომ საინტერესო იყო ერთხელ გვეჩვენებინა ქეკი და ახალი ხელოვნება საქართველოსი. რა თქმა უნდა, გამოფენამ უნდა მოგვცეს სწორი და მთლიანი წარმოდგენა და გამოხატოს თქვენნ ქვეყნის თავისებურება.

მე ვფიქრობ, რომ სასულიერო და საერო ხელოვნება, სასულიერო და საერო მხატვრული ნაწარმოებნი ერთიანად უნდა იქნეს წარმოდგენილი.

გთხოვთ მაცნობოთ, შესაძლოა თუ არა ამ აზრის განხორციელება, რა სახით და რამოდენი ხნის შემდეგ. შესაძლოა მოახერხოთ და გაიგოთ როგორ უცქერიან ამ საქმეს თქვენს საშობლოში.

გთხოვთ, ეს წერილი ჩათვალოთ მხოლოდ წასახალისებლად. შემდეგი მოლაპარაკება დაგვანახებს როგორ მიიღებენ ამას თქვენს საშობლოში.

თქვენი უფრ. პროფ. დ. შულცი

მთავარი კონსერვატორი გერმანეთის მუზეუმისა, დირექტორი ქალაქის გალერეისა.

ნიურნბერგი მარტის 24. 1923 წ.

თეატრი ფ.ნეთში

ნაციონალურ-ფინური თეატრი აღორძინება გასული საუკუნის შუა წლებში, ფინეთის ხალხის ნაციონალური გრძნობის აღორძინებასთან ერთად; მუდმივი ფინური თეატრი 1873 წელს დაარსდა ჰელსინკიეორში, სადაც დრამატიულ წარმოდგენებთან ერთად ოპერაც იიმართა. ამ პერიოდმა წარმოშვა რამოდენიმე გამოჩენილი არტისტი: იდა ალბერგი (1857—1915) და ოპერის პრიმადონნები ემმი აბტე, იდა ბაზილიე და ალმა ფუსტერემი.

ფინური რეპერტუარი ჯერ კიდევ უმნიშვნელო არის და ამიტომ ფინური თეატრი თავის მიღწევებს უცხოეთის პიესებზე ანხორციელებს. დიდი ინტერესი არის მოლიერისა და შეექსპირისადმი; თუმცა ფინეთის თეატრს ჯერ კიდევ არა ჰკავს ისეთი აქტიორი დიდი ტრაგედიებისათვის, რომელიც დასძლევდა ოტელოს და ჰამლეტს. სანდნინავიის წმურალთაგანიბსენთ გატაცებამ უკვე გიიარა და ახლა ინტერესი სტრინდბერგისადმი არის.

ფინეთმა ოპერამ განვითარება დაიწყო მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც მან საკუთარი შენობა შეიძინა 1918 წ. მის რეპერტუარს ამ ეამათ შეადგენს მთელი პლეადა ნიჭიერ მომღერლებისა—გრეხმაკი, შეხოლი და სხ., ცენორი, სოლაბ და მშვენიერი ორკესტრი, რომელსაც უწარეული გიორგი ხელმძღვანელობს. ადგილობრივ ძალებში არ

(ეგების ამ წერილს, თუმცა რედაქციას არ შეუძლია სავსებით გაიზიაროს რეფერენტის ბალსკის აზრი.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰ რ ო ნ ი კ ა

„პოეზიის დღე"

პოეზიის დღე,—ტრადიციული დღესასწაული ქართველი პოეტებისა,—ორშაბათისაა. ამ დღეს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ფასიანი საღამო. შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს ნ. შიუკაშვილი, მეორე განყოფილებაში კავშირის წევრნი—პოეტები წაიკითხავენ ლექსებს; დასასრულ ქართველი მომღერლები: ივ. სარაჯიშვილი, ალ. ინაშვილი, ვ. შარაშიძე, ლადო კვეკვაძე, და ნ. ელეიზიშვილი იმღერენ ქართულ რომანსებს ჩვენი კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან. სხვათაშორის შესრულებული იქნება საგანგებოდ ამდღისთვის დაწერილი „პოეზიის ჰიმნი" დ. არაყიშვილისა. ამავე დღეს ღამისის მორიგი ნომრის ნაცვლად გამოვა „პოეზიის დღის" № 4., სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ დაადგინა აგვიდეკე ამ დღეს—მაისის 7-ს აკადემიაზეი მთაწმინდაზე შეამკოს დაფნით.

გრ. რობაქიძის საღამო.

დღეს, რუსთაველის თეატრში გრ. რობაქიძე ჰპირთავს თავის საღამოს. წარმოდგენილი იქნება: „ლონდა". საღამოს შემდეგ გრ. რობაქიძე მიემგზავრება საზღვარგარედ.

ვავა ვაჩნაძის გარდაცვალება.

მოულოდნელად გარდაიცვალა სტუდიელი ახალგაზდა ქალიშვილი ვავა ვაჩნაძე, განსვენებული მეტად ნიჭიერი და სპეტაკი პიროვნება იყო. მისი საკვდილი დიდი დანაკლისია მომავალ ქართულ სცენისათვის.

ახალი რომანი.

ახალგაზდა მწერალმა დემნა შენგელაიამ დაამთავრა თავის ახალი რომანი: „სანავარდო".

„ამქრის მშვენება"

რედაქციას მოუვიდა მხცოვან ბელეტრისტის ვასილ ბარნოვის ახალი მოთხრობა: „ამქრის მშვენება". გამოცემა სახელმწიფოა. შეიცავს 92 გვ. ფასი არ აწერია. მოთხრობა დაწერილია ტფილისის ხელოსანთა ცხოვრებიდან, აღსავსეა საუცხოო შტრიხებით და მეტად ხალისიანად იკითხება.

ნინო დავითაშვილის ბენეფისი.

ხუთშაბათს, მაისის 3-ს დამსახურებულ მსახიობის ნინო დავითაშვილის ბენეფისია. წარმოდგენილი იქნება სარდუს ცნობილი პიესა: „მადამ სანჟენ".

„რომანი"

ახალგაზდა მსახიობმა ქალმა ალისა ქიქოძემ (აბაშიძისამ) თავის საბენეფიოსოდ კვირას, აპრილს 15-ს დასდგა ს. დადიანის მიერ თარგმნილი შელდინის პიესა „რომანი" პიესამ კაგრგი შუამეჯდილება დასტოგა: ალისა ქიქოძე საუცხოო იყო რიტა კაკალინის იტალიელ ქალის როლში; მიმიკა, მიხვრა-მოხვრა, სინაზე, ცელქობა, ძმიმე წუთები და როლის ჭკვიანური შეგნება ხიბლავდა მაყურებელს; ცოტა არ იყოს შთაბეჭდილებას ანენებდა ქართული სიტყვების უცხოოუ აქცენტით გამოთქმა, განსაკუთრებით ბოლო მოქმედებაში. მოეწფოსემ მიიღო აპარეული ყვავილები. ხალხი ბევრი დაეწყრო.

ქართული წიგნების გამოცემა.

განათლების კომისარიატთან არსებულ სალიტერატურო გამომცემლობის კოლეგიაში გადასწყვეტ გამოიცეს შემდეგი წიგნები: 1) ალ. ყაზბეგის რჩეული მოთხრობანი 2 ტომად, 2) აკაკი წერეთლის რჩეული ლექსები 3 ტომად: ლირიკა, ეპოსი, დრამა,. 3) ივ. მაჩაბლის 8 ტრაგედია, 4 ტომად, 4) ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები 2 ტომად და 5) ვაჟას მეორე ტომი რომელშიაც დაიბეჭდება მხოლოდ პოემები რიცხვით 36.

ივ. სარაჯიშვილის იუბილე.

სახელმწიფო ოპერის თეატრში მაისის 16-ს გაიმართება ივ. სარაჯიშვილის იუბილე მისი 20 წლის არტისტობის აღსანიშნავად.

ბენეფისები

რუსთაველის თეატრში მომავალი თვის განმავლობაში გაიმართება ბენეფისები შემდეგი მსახიობების: გ. დავითაშვილის (სდგავს „ჰამლეტს"), ნინო დავითაშვილის („მადამ-სანჟენ") ნ. ჯავაშვილის (ორი ობოლი") ჰ. კორიშელის („იუიელიოს კეისარი"), დონაურის (მარია სტიუარტი.), ნ. გვარაძის („სურამის ციხე") რეჟისორის თანაშემწეთა—დ. ანთაძის, და გ. გეველესიანის („მასკოტ") ხოლო მაისის 6-ს გაიმართება ჩუმი შუშაკის **გიგო ორიდანიშვილის** საღიესასწაულო საღამო, წარმოდგენელი იქნება: „რაც გინახავს ვეღარ ნახავ:". იუბილიარი შესასრულებს თავის საყვარელ როლს (გიგუას), დასასრულ ხარიბ ამ ფაროვ-ბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ვ. გუნიას მხიარული ვოდეველი: „ადვოკატთან".

საბავშო წიგნი „ზამთარი"

გამოვიდა საბავშო წიგნი „ზამთარი" წიგნში მონაწილობენ ჩვენი ბავშვების საყვარელი მწერლები. წიგნი დასტრიალებულია კარგად. იბეჭდება აგრედვე ჯეჯილის მორიგი ნომერი (3-4), რომელშიაც სხვათა შორის მოთავსებული იქნება წერილები ახლად გადაკეცილი სომეხთა ცნობილ პოეტ ოვ. თუმანიანზე.

პედაგოგის დღესასწაული

აპრილის 24-ს რუსთაველის თეატრში მასწავლებელთა ერთიანჯგუფის თაოსნობით გადახდილ იქმნა 50 წლის საიუბილეო დღესასწაული დამსახურებულ სახალხო მასწავლებლის აფრასიონ ჯაფარიძის. იუბილეს დაესწრო აუარებელი ხალხი.

კ. კაპანელის მოხსენება.

ახლო მომავალში კ. კაპანელი ტფილისში წაიკითხავს სახალხო მოხსენებას: „ბიოფსიქიზმი და ცივილიზაცია".

ია კარგარეთელის იუბილე.

სრ. საქართველოს ხელოვნთა კომიტეტი შაბათს, მაისის 5-ს პირველ კონსერვატორიის დარბაზში 35 წლის მოღვაწეობის იუბილეს უმართავს ბანმსახურებულ მუსიკოსს ია კარგარეთელს.

პენსიონერთა სია.

განათლების სახალხო კომისარიატთან შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც გადაათვალიერა პენსიონერთა სია: გამორიცხულ იქმნა რამდოენიმე პირი, დანარჩენებს პენსია გაუდიდა 20-30 მანეთამდე ოქროოთი. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ჩვენი კავშირის გარდაცვლილ წევრთა ოჯახებს კვლავ დაენიშნოს შესაფერი დახმარება.

გაზ. „მწვერვალი"

რედაქციას მოუვიდა ბათომში გამოცემული ყოველკვირეული სალიტერატურო გაზეთი: „მწვერვალი" (№ 1,2). გაზეთში თანამშრომლობენ: კ. კაპანელი, დ. კასრაძე, სერ. გერსამია და სხვ. გამომცემელი: თომა ჩიქვანაია.

უცხოეთი.

დეკლამაციის თეატრი.

წარსულ წელს ნოემბერში მოსკოვში დაარსდა მოძრაკი თეატრი, რომელიც წარმოადგენს პირველ ორგანიზაციულ სალიტერატურო—სამუსიკო დეკლამაციურ დაწესებულებას, რომელმაც მიზნად დაისახა მხატვრული ცოცხალი სიტყვის—კულტურის ამაღლება. დასი შედგენილი იყო პროფ. სერეგენკოვის დეკლამაციის ინსტიტუტ დამთავრებულებისაგან, უკანასკნელ თვეების განმავლობაში თეატრმა მოახდინა 50-ზე მეტი საჯაროო გამოსვლა. ჯეროჯეროობით ეს თეატრი მოძრავია, მაგრამ მომავალი სეზონიდან აზრად აქვთ შექმნან ძირითადი ბაზა მუშაობისათვის.

გერმანელ სცენის მოღვაწეთა ყრილობა.

ლეიპციგში ამ ეამათ მოწვეულია გერმანელ სასცენო ხელოვნების მოღვაწეთა ყრილობა. ამ ყრილობაზე ირჩევა რამოდენიმე მეტად საინტერესო საკითხი მსახიობების მატერიალურ და მორალურ მდგომარეობის შესახებ. სამე ისე არის, რომ გერმანელ თეატრალურ საქმეში პარალელური გაეკითინება ხდება ერთის მხრივ სცენის მუშაკთა და მეორეს მხრივ თეატრის მეპატრონეთა; ამ ორგანიზაციების სადაო საგანი იმდენად არტისტების ეკონომიური კეთილდღეობის საკითხი არაა, რამდენათაც მათი გავლენის საკითხი თეატრების სამხატვრო პროგრამებზე. გერმანელი თეატრალური მეპატრონეები თანდათანობით აახლოებენ გერმანულ სცენას უბრალო გასართობ დაწესებულების მდგომარეობასთან და, დაინტერესებულნი არიან უმთავრესად საშუალო თეატრალის გემოვნებით და სრულიად არ აქცევენ ყურადღებას მაღალი ხელოვნების მოთხოვნილებებს. უკანასკნელი გაფიციკის დროს ბერლინში, რომელიც მსახიობების დამარცხებით დამთავრდა, მიუხედავათ საზოგადოების თანაგრძნობისა, მეპატრონეებმა შესძლეს სამხატვრო ნაწილის უკანტროლო გამგებლობის უფლების მოსპობა. ეს საკითხი ახლა აღძრულია მთელი სიმწვავით ლაიპციღის ყრილობაზე და მსახიობები მოითხოვენ სახელმწიფოს დახმარებას მეპატრონეებთან ბრძოლაში; ისინი მოუწოდებენ ადგილობრივ ხელისუფლებას ჩამოართვან კონცესიები თეატრის შენახვისა ისეთ ანტიკეპრენიორებს, რომლებიც ეცვლებით განზე სტოვებენ სამხატვრო ხელოვნების მოთხოვნილებებს.

ლაიპციღის ყრილობის დებატებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თეატრისა და კინემატოგრაფის ურთიერთობის საკითხს, რომელიც ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია გერმანელ თეატრალურ საქმისა, რადგან კინემატოგრაფი, ფინანსიური მოსაზრების გამო თეატრს აცილებს საუკეთესო არტისტიულ ძალებს.

სახელმწიფოო ერმიტაჟი რუსეთში.

რეკონიუციის განმავლობაში ერმიტაჟის შეავსებამ 60,000 ნივთს მიაღწია. სურათების გალერეამ მიიღო დიდი რაოდენობა მეტად ფასიანი, პირველხარისხოვანი ნაწარმოებნი დასავლეთი ევროპის მხატვრებისა. ანტიკური კულტურის განყოფილებამ მიიღო მთელი რიგი ნაწარმოებთა პავლოვის სასახლიდან. ამ ეამად ერმიტაჟი ოთხი მუზეუმისაგან შესდგება: 1) სიძველის, 2) ისტორიულ-მხატვრული ხელოვნება, 3) სურათების გალერეა, 4) ნუმიზმატიკა და გლიპტიკა.

ერმიტაჟში არიან წარმოდგენილნი კულტურები, დაწყებული ქრისტეს დაბადების წინა ხნიდან და გათავებული უკანასკნელ ხანებამდე;—სურათების გალერეა წარმოდგენს ერთ პირველხარისხოვან გალერეას, რომელსაც აქვს ნაწარმოებნი სუმბრანდტის, რუბენსის, მურილიოს, ვანდეიკის, ჰოლანდიელების, ფრანგების და სხვ.

1918 წლიდან 1723 წლამდე მუზეუმმა დიდი მუშაობა შეასრულა; საზამთრო სასახლე გამოყენებულ იქნა ერმიტაჟის გასაფართოებლად. ერმიტაჟმა მოაწყო ეპიზოდიური გამოფენები; შექმნა საფრანგეთის მე-17 და მე-18 საუკ. ხელოვნების განყოფილება; შექმნა აგრეთვე ეკლესიათა სიმოვლეების, სასანიდის სიძველეთა და სხვ. გამოფენები. 1923 წლისათვის ერმიტაჟი დაიკავებს ზამთრის სასახლის ყველა დარბაზებს და ახლო მომავალში გახსნის საფრანგეთის მე-19 საუკ. ხელოვნების გამოფენას.

სამხატვრო თეატრი ბერლინში.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის არტისტებმა ერთი ჯგუფი, რომელიცამ ეამად ბერლინში არის, გართულია ინიციატორად ლევ ტოლსტოის „მეუფეს წყვდიადის"-ის სურათის გადაღებაში, ბერლინშივე დაიწყო მოსკოვის კამერული თეატრის გასტროლები, რომელსაც ხელმძღვანელობს თეატრის დარეჟისორი ალექსანდრე თაიროვი.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!*)

თქვენ პატივცემულ გაზეთის № 32 მოთავსებული იყო წერილი კინოდრამის „განკიცხულის" დადგმის, ანუ უკეთ ესთქვათ შესრულების შესახებ, რომლითაც ბრალი ედებოდათ როლების აღმსრულებელთ, რომ ისინი ვერ ჩასწვდნენ ყაზბეგის სულს და დაამახინჯეს მოძღვარში გამოყვანილი „ტიპები". აღნიშნული იყო ცალკე მომენტები, როგორც სცენა ორფოფის გამოცდისა, ვინაიდან ეს ერთად ერთი ადგილია სცენარით სადაც ორფოფრემი ინვიეტეს მამაკაცი. დანარჩენ დრამაში კი წეთელ ზოლოვინი გავლებულია მისი უსაზღვრო სიკეთე და წმიდა მამაზრავი დამოკიდებულება მაყვალასთან. ჩემის აზრით ამ შემთხვევაში ბრალდება არ არის სწორი მისამართითთ, ვინაიდან მსახიობი ასრულებს მხოლოდ მისთვის დანიშნულ როლს, დრამაში იქნება ეს თუ კინოში სულ ერთია და ვერ იქნება პასუხის მგებელი, თუ როგორ გამოხატავ იგი ავტორმა ან სცენარმა. აქ ბრალდება, თუ კი მას ადგილი აქვს უნდა იყოს მიმართული სცენარის ავტორისადმი და ან ჩემდამი, როგორც რეჟისორისადმი. მაგრამ კრიტიკოსი აქაც არ არის მართალი. აფიშაში რომ ნათქვამი იყოს, ეკრანზე **დადგმულია**, ანდა ინსცენიროვკა ყაზბეგის „მოძღვარის", მაშინ საყვედური ჩემდამი სამართლიანი იქნებოდა; მაგრამ სცენარის ავტორმა არ მოისურვა თავის ორიგინალურ ნაწარმოებათ გამოეცხადებინა ეს კინოდრამა, არ მოისურვა ჰლეგიატობა და აღნიშნა, რომ სცენარი დაწერილია ყაზბეგის მოთხრობის გავლენით, შეესცალა თვით სახელი და რეკანსტრუქტებთან საუბარში (რაც უკვე იყო პრესაში) აღნიშნავდა რომ ეს სცენარი არ უნდა ჩაითვალოს ყაზბეგის მოძღვარის „ინსცენიროვკაათ", რომ ავტორმა მხოლოდ ისარგებლა მოძღვარით და განავითარა იგი სრულიად დამოუკიდებლად. როგორც საბეემა კინემატოგრაფის საქმეში უნდა ვსთქვა, რომ ვინმემ იფიქროს ეკრანზე გადატანა მოძღვარის სავსებით, როგორც ის დაწერილი აქვს ყაზბეგს, არავითარი კინემატოგრაფიული ბიესა არ გამოვა და არავითარი ინტერესი ასეთ გადაკეთებას არ ექნებოდა, ვინაიდან საუკეთესო მწერალთა მრავალ ბელეტრისტულ და თითქმის დრამატიულ ნაწარმოებები არ არის ის, რაც აუცილებელია კინოსვეის, ე. ი. დინამიურობა და კალეიდოსკოპიურობა მოქმედებისა და ამით ინსნება დამარცხება იმ კინო დადგმათა, სადაც ყურადღება მიქცეული აქვს ინსცენიროვკას და არა გადაკეთებას. ამის შესახებ მე უკვე მომიხდა აზრის გამოთქმა პრესაში და თუ ეხლა კიდევ გამოვდივარ ამ განმარტებით, მხოლოდ იმ მსახიობთა დასაცავად, რომელთაც მიიღეს დაუშსახურებელი საყვედური და საუცხოოდ კი შესასრულეს ავტორისა და რეჟისორის მიერ დაკისრებული მოვალეობა. ვიტყვი მეტს, მე ვხედავდი და ვგრძნობდი, რომ საყვარელ ავტორის სულის დამსგრეველ მათ დიდათ აწუხებდათ და მე მიხდებოდა მტკიცება მათთვის, რომ მხოლოდ ამ რიგათ შეიძლება ნაწილი ყაზბეგისა მაინც იხილოს ეკრანზე და ვფიქრობ რომ სურათთან გამარჯვება საკმაოდ ამართული ჩემს სტატეგებს.

სახელმწიფო კინოწარმოების რეჟისორი **ზ. ბარსკი.**

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმცა რედაქციას არ შეუძლია სავსებით გაიზიაროს რეფერენტ ბარსკის აზრი.

რედ.

სარედაქციო კოლეგია.

ოპერის თეატრი

კვირას, აპრილის 29-ს

ფაუსტი

და კარმენი მე-2—4 აქტი

რუსთაველის თეატრი

კვირას, აპრილის 29-ს

გრიგოლ როგაძიის

საღამო

ს. ბ. ს. უ. ს. პოლიგრაფიული განყოფ. 1-ლი სტამბა, პლეხანოვის ქ. № 91. ნებადართულია ლიტერატურის და გამომცემლობის მთავ. მართველობის მიერ № 228. ტირაჟი 1400